CSD

საქართველოს საინფორმაციო გარემოს გამოწვევები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

2024

სარჩევი

საკითხის აქტუალობა 3
საქართველოს საინფორმაციო გარემოს გამოწვევები 6
საინფორმაციო გარემოს გამოწვევებთან ბრძოლის მექანიზმები 9
გამოყენებული ლიტერატურა 12

საკითხის აქტუალობა

ისტორიული პერიოდი, რომელშიც თანამედროვე საზოგადოება იმყოფება ცნობილია ინფორმაციული, ციფრული ეპოქის სახელწოდებით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ინფორმაციის მიმოცვლის ტემპი. სხვადსხვა ქვეყნის საზოგადოებები სოციალური ქსელების საშუალებით ძალიან სწრაფად და მარტივად ახარხებენ კავშირის დამყარებასა და სიახლეების გაზიარებას. ინფორმაციულ მრავალფეროვნებასა და მის სწრაფ გავრცელებას ბევრ დადებითთან ერთად მრავალი უარყოფითი ასპექტი გააჩნია. ერთ-ერთი მთავარი სირთულე, რომელსაც იგი ქმნის, გახლავთ დეზინფორმაციის, პროპაგანდისა თუ საინფორმაციო ომის წარმოების საშიშროება. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თითოეული მათგანის არსი. დეზინფომაცია გულისხმობს ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოების მოტყუების მიზნით (National Parliamentary Library Of Georgia, 2008). დეზინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური თუ სხვა სახის მიზნებისათვის. პროპაგანდა წარმოადგენს ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ამბის მიზანმიმართულ გაზიარებას, რათა შეცვალოს ხალხის გაგება და დამოკიდებულება კონკრეტული საკითხის შესახებ იმ კუთხით რა კუთხითაც სურს კონკრეტულ აქტორს, საინფორმაციო ომი კი გულისხმობს ინფორმაციის გამოყენებას ერთგვარ იარაღად პოლიტიკურ, სოციალურ თუ სამხედრო სარბიელზე (Cambridge Dictionary, 2023).

ინფორმაციული ველის გაფართოებამ მთელ მსოფლიოში შექმნა ახალი ტიპის საფრთხეები, გააძლიერა საინფორმაციო ომის შესაძლებლობები, კიბერთავდასხმები და სოციალურ მედიაში ყალბი ამბების გავრცელების შესაძლებლობები. საქართველო წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც ბევრი ქვეყნის მსგავსად დგას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რაც დაკავშირებულია სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ უზარმაზარ საინფორმაციო სივრცეში სწორი და მცადრი, ასევე შეფარული ცრუ სიახლეების ურთიერთგამიჯვნის საკითხთან.

შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების 2023 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით ინტერნეტით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების 89.0 პროცენტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა საქალაქო დასახლებაში, ხოლო 1.0 პროცენტული პუნქტით სოფლად და შესაბამისად, 93.1 და 83.4 პროცენტი შეადგინა. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი

მაჩვენებელი აჭარისა და თბილისში დაფიქსირდა და შესაბამისად, 96.2 და 94.2 პროცენტი შეადგინა (სამსახური, 2023)

NDI-ის კვლევის მიხედვით, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით ჩატარდა 2020 წელს, შემდეგი სახის მონაცემებს გვაწვდის: პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი პირველწყარო გამოკითხულთა უმრავლესობისათვის (69%) ტელევიზია, ხოლო 24%-ისთვის კი ინტერნეტი/ფეისბუქია (Institute, 2020).

სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვადსხვა პლატფორმების საშუალებით იღებს ინფორმაციას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ციფრული მედიის სწრაფმა განვითარებამ და ბევრი განსხვავებული აზრისა თუ იდეოლოგიის მქონე აქტორთა გამოჩენამ სოციალურ და სატელევიზიო სივრცეში, პლურალიზმთან ერთად ინფორმაციული გადატვრთვის(Information Overload) საფრთხეც შექმნა. საქართველოში პოლიტიკური მოვლენები ხშირად საკმაოდ დინამიურად ვითარდება, ყალბი ინფორმაციის გავრცელებასა და მისი პოლიტიკური მზინით გამოყენებას შეუძლია პოლარიზაციის გაღრმავება მოსახლეობაში.

მედიის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების საკითხი უკანასკენელი 3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაზეც მეტყველებს საერთაშორისო კვლევები. მედიის უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ (RSF) 2024 წლის 3 მაისს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოში პრესის თავისუფლების ინდექსმა 77-ე ადგილიდან 103-ე ადგილზე გადმოინაცვლა. ორგანიზაცია აცხადებს, რომ პოლიტიკური ჩარევები ხელს უშლიან საქართველოში პრესის თავისუფლების გაუმჯობესებას და რომ დამოუკიდებელი და ოპოზიციური მედიისთვის გარემო კვლავ მტრული რჩება. ამასთან, იზრდება ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმების რაოდენობა და მიღებულია კანონები, რომლებიც დამოუკიდებელი მედიის მარგინალიზაციასა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მედია-ლანდშაფტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მისთვის დამახასიათებელია ძლიერი პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც საინფორმაციო გარემოს სიჯანსაღეზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ განცხადებით, საქართველოში „მედიაგარემო მრავალფეროვანი და, იმავდროულად, უკიდურესად პოლიტიკურად პოლარიზებულია. მანიპულირება, სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია ფართოდაა გავრცელებული მედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიით, რომელიც ინფორმაციის მთავარი წყაროა“. გარდა ამისა, ორგანიზაცია

აღნიშნავს, რომ რეგიონული და სათემო რადიოსადგურები სულ უფრო გავლენიანები ხდებიან, ბეჭდური მედიის მკითხველი იკლებს, ხოლო ონლაინ საინფორმაციო გამოშვებების მკითხველი მატულობს (პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს მდგომარეობა 26 პოზიციით გაუარესდა, 2024).

რაც შეეხება პოლიტიკურ კონტექსტს, RSF აღნიშნავს: „ხელისუფლებამ ჯერ კიდევ არ შეასრულა ევროკავშირის რეკომენდაცია პრესის თავისუფლების შესახებ, რაც აუცილებელი ნაბიჯია წევრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამდე“. შეფასებაში ასევე აღნიშნულია, რომ 2023 წელს საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ განიზრახა გაეკონტროლებინა დამოუკიდებელი რადიოსადგურები და ტელევიზიები, რაც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანითა და რუსულიდან კოპირებული „უცხოელი აგენტების“ კანონპროექტის ინიცირებით გამოიხატა, რომელიც ქუჩის საპროტესტო აქციებისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად საბოლოოდ გაუქმდა (პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს მდგომარეობა 26 პოზიციით გაუარესდა, 2024). 2024 წლის აპრილში კი ხელისუფლებამ კვლავ დააინიცირა იგივე კანონპროექტი, რომელიც მასობრივი საპროტესტო აქციების მიუხედავად მიიღეს, ეს კანონპროქტი უარყოფითად აისახება საქართველოში დამოუკიდებელი, ობიექტური მედიის განვითარებაზე და შესაბამისად ქვეყნის დემოკრატიულ წინსვლაზე.

მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად მნიშვნელოვნად იზღუდება მასმედიის თავისუფლება და გამჭვირვალეობა, რაც მოქმედებს მოსახლეობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების ხარისხზე. მედია საშუალებებისათვის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის ქონა სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული სახელმწოფოს განვითარებისა და საინფორმაციო გარემოს სრულყოფისათვის.

ფაქტორები და მიზეზები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ნაწილია იმ გარემოებებისა, რომელიც ნათლად ადასტურებს საქართველოს საინფორმაციო სივრცის გამოწვევათა აქტუალურობასა და მნიშვნელობას სახელმწიფოს განვითარების საკითხში.

საქართველოს საინფორმაციო გარემოს გამოწვევები

საქართველომ დამოუკიდებლობა გასული საუკუნის ბოლოს მოიპოვა, საკმაოდ მძიმე და რთული გზის გავლა მოუწია როგორც თავისუფალ სახელმწიფოს. 2008 წელს რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო დაპირისპირების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია. ეს ფაქტები მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთს გარკვეული პოლიტიკური ინტერესები გააჩნია საქართველოს მიმართ. რუსული საგარეო პოლიტიკის ძირითად ქვაკუთხედს ,,ჰიბრიდული ომი" წარმოადგენს, რაც გულისხმობს კონვენციური და არაკონვენციური ელემენტების გამოყენებას, დაპირისპირებული მხარის წინააღმდეგ, მათი შეთანხმებული და სინქრონული გამოყენებით (Bilal, 2021). ,,ჰიბრიდული ომის" ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს მცდარი ინფორმაციის გავრცელება და პროპაგანდისტული ნარატივები წარმოადგენს. საყურადღებოა ის დეზინფორმაციული კამპანიები, რომელსაც რუსეთი იყენებდა და იყენებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში, არამხოლოდ, საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში, რათა გამოიწვიოს დაბნეულობა მოსახლეობაში, გადაფაროს რეალური მისწრაფებები და შექმნას პოლიტიკური დაძაბულობა. კრემლის ძირითადი ნარატივი, რომელსაც პროპაგანდას უწევს სხვადასხვა პრორუსული ძალები საქართველოში, გახლავთ შემდეგი: რუსეთი სამხედრო კუთხით ძლიერია, ის მეზობლი სახელმწიფოა, დასავლეთი, მიუხედავად იმისა, რომ ასევე ძლიერია სამხედრო თვალსაზრისით, ტერიტორიულად მნიშვნელოვნადაა დაშორებული საქართველოსგან და არ სურს ბრძოლა შორეული ქვეყნის დასახმარებლად. მსგავსი სახის დეზინფორმაცია მიზნად ისახავს ქართველ მოსახლეობაში ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის მიმართ უნდობლობის გაღვივებას. დიდი ყურადღება ეთმობა ასევე რელიგიურ ფაქტორს, რომელიც მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის საკმაოდ სენსიტიურია და შესაბამისად ერთმორწმუნეობის საკითხით მანიპულაცია ერთ-ერთ ეფექტურ ნაწილს წარმოადგენს რუსული პროპაგანდისტული გზავნილებისა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა რუსული დეზინფორმაციის მანქანა თითქმის ყველა საინფორმაციო პლატფორმაზე, მოტივი კი გახლავთ ქართველი და არამხოლოდ ქართველი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა ომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით (Utiashvili, 2022).

ზემოთ მოყვანილი ფატებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ქართული საინფორმაციო გარემოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება რუსული დეზინფორმაციული კამპანიები. კიდევ ერთი აქტუალური პრობლემა, რომელიც თანამედროვე სამყაროს და მათ შორის საქართველოს წინაშეც დგას, არის კიბერუსაფრთხოების თემა. ბოლო წლების მანძილზე ქართულ მედიასაშუალებებსა და სამთავრობო ინსტიტუტებზე რამდენიმეჯერ განხორციელდა კიბერთავდასხმა, რამაც პირადი და სახელმწიფო მონაცემების უსაფრთხოებას შეუქმნა საფრთხე.

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2019 წლის 28 ოქტომბერს, რუსეთის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (GRU) მიერ განხორციელებული კიბერშეტევა საქართველოს წინააღმდეგ. ინციდენტი უშუალოდ შეეხო მოსახლეობას, შეაფერხა ქვეყნის სამთავრობო და კერძო ვებსაიტების მუშაობა და შეწყვიტა სულ მცირე ორი ძირითადი ტელევიზიის მაუწყებლობა. ეს ოპერაციები მიზნად ისახავდა განხეთქილების დათესვას, დაუცველობის განცდის შექმნასა და დემოკრატიული ინსტიტუტების მორღვევის მცდელობას (POMPEO, 2020).

მედიაწიგნიერების დაბალი დონე საინფორმაციო სივრცის გამოწვევების ნაწილია, რადგან კრიტიკული ანალიზისა და სანდო წყაროების დახმარებით სწორი ამბების მოძიების უნარი უზრუნველყოფს სტაბილურ გარემოს, რომელიშიც დეზინფორმაციის გავლენები მინიმალურია. საქართველოში მედიაწიგნიერების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ მედიაწიგნიერების სტანდარტი უკვე შემუშავებულია, 2016 წლიდან კი სასწავლო კურიკულუმის ნაწილია. გეგმები, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშესაწყობადაა შემუშავებული, სამწუხაროდ, არასაკმარისია. კვლევებმა ცხადყო, რომ ,,საქართველოში მედიაწიგნიერების დონის ასამაღლებლად მუშაობს სხვადასხვა სახის ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების მქონე ორგანიზაცია, რომლებიც ხელს უწყობენ მოქალაქეებში მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას. თუმცა, ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთიანი შეთანხმებული სტრატეგიული მიდგომა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების მედიაწიგნიერების დონის გაუმჯობესებასა და არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაზე“ (ბასიალაია, 2022). გრძელვადიან პერსპექტივაში მედიაწიგნიერების როლი უმნიშვნელოვანესია საინფომაციო ომისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სოციალური ქსელები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცრუ ან არაზუსტი ინფომაციების გავრცელების საუკეთესო არეალია. ხშირად ყალბი ინფორმაციები პოლიტიკური, ეკონომიკური, კონკრეტულ პიროვნებათა დისკრედიტაციისა თუ სხვადასხვა მოვლენისა და ფაქტის დასამახინჯებლად გამოიყენება. ქართულ რეალობაში მრავლად ვხვდებით გადაუმოწმებელი ან მიზანმიმართულად ცრუ ინფორმაციის გავრცელების ტენდენციას. ყალბი ამბები არცთუ იშვიათად ფინანსური მოგების მიზნით ან მომხმარებელთა რიცხვის გასაზრდელად შეიძლება იქნას გამოყენებული სხვადასხვა ჯგუფებისა მიერ. სამწუხაროდ, გვაქვს პრაქტიკა, როდესაც ადამიანთა დიდი ნაწილი, არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში უფრო მარტივად იჯერებს მოგონილ, არაზუსტ ამბავს, ვიდრე ლოგიკურ მსჯელობებზე დაფუძნებულ სიმართლეს და ნდობას უცხადებს გაურკვეველი წარმომავლობის მქონე საინფორმაციო სააგენტოებს. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პანდემიის პერიოდში არსებული ინფორმაციული ქაოსი და ანტივაქსერული

ჯგუფების ზრდის ტენდენცია, რაც სწორედ ცრუ ინფორმაციათა სწრაფმა და მიზანმიმართულმა გავრცელებამ გამოიწვია (გზირიშვილი, 2020). ეს მოვლენა ინფოდემიის სახელითაა ცნობილი და მან ნათლად გამოაჩინა სტრატეგიული კომუნიკაციების როლის მნიშვნელობა და ასევე საფრთხეები, რომელიც უკონტროლო მცდარ ინფორმაციათა განფენამ შეიძლება მოიტანოს მთელი კაცობრიობისათვის, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყალბი ამბები კვლავ რჩება ერთ-ერთ გამოწვევად ქართული საინფორმაციო სივრცისათვის. 2022 წელს ონლაინ ჟურნალმა ,,The Caucasus Datablog''-მა გამოქვეყნა კვლევა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად აწუხებს ქართველ მოსახლეობას სოციალურ ქსელებში გავრცელებული მცდარი ინფორმაცია. გამოკითხულთა 27% ფიქრობს, რომ სოციალურ მედიას აქვს უარყოფითი გავლენა ქვეყანაზე, 18%-ის აზრით კი დადებითი ეფექტი, 42% მიიჩნევს, რომ ნეიტრალურია მედიის დამოკიდებულება. მათგან, ვინც ფიქრობდა, რომ სოციალურ მედიას უარყოფითი გავლენა ჰქონდა, 40%-მა განაცხადა, რომ უარყოფითი ეფექტის მთავარი მიზეზი დეზინფორმაცია იყო. 35 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები უფრო ხშირად აცხადებდნენ, რომ აწუხებთ ყალბი ინფორმაცია ონლაინ პლატფორმებზე (Dolidze, 2022).

საინფორმაციო გარემოს გამოწვევებთან ბრძოლის მექანიზმები

მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოთა დიდ ნაწილს უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა საინფორმაციო გამოწვევებთან ბრძოლის თვალსაზრისით. საქართველო სწორედ არსებულ ცოდნასა და ასევე პრაქტიკულ გამცდილებას იყენებს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად, მაგალითისთვის შეგვიძლია წარმოვადგინოთ საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც საუბარია კიბერ საფრთხეებსა და ამ საფრთხეების თავიდან აცილების გზებზე. კიბერუსაფრთხოების სფეროში რიგით მესამე ეროვნული სტრატეგია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში გაერთიანდა, როგორც კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების, ისე კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული კონკრეტული კომპონენტები. საქართველოს მთავრობამ სტრატეგიის სამოქმედო პერიოდის გათვალისწინებით განსაზღვრა პრიორიტეტული მიზანები, რომლებიც 2021 წლიდან ხორციელდებოდა ეტაპობრივად და დღემდე გრძელდება (სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024, 2020). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2021-2024 წლებისთვის მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულებით მუშაობას. სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს დაცვას კიბერთავდასხმებისგან და საინფორმაციო ოპერაციებისგან. აქცენტი გაკეთებულია საინფორმაციო ომში მოწინააღმდეგის დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაზე. სტრატეგია მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებასა და გამჭვირვალობის ზრდას და ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაციის განვითარებას, რაც გააძლიერებს საქართველოს უსაფრთხოებას და თავდაცვას. 2021-2024 წლების სტრატეგია მოიცავს კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის გეგმას და მასალების მომზადებას, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ და სანდო გავრცელებას. სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, თავდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ინფორმაციული პოლიტიკის განვითარებაზე, კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებასა და უსაფრთხოების გაძლიერებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა დგამს გარკვეულ ნაბიჯებს საინფორმაციო გამოწვევათა საპასუხოდ, მაინც რჩება პრობლემები, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია სახელმწიფო უწყებათა მეტად გააქტიურებითა და მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებით.

პირველი მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც ქვეყანას დაეხმარება საინფორმაციო პრობლემური საკითხების წინააღმდეგ ბრძოლაში, გახლავთ ფაქტების შემმოწმებელი ორგანიზაციების შექმნა. არსებობს სხვადასხვა სახის ვიდეო ბლოგები სოციალურ

ქსელებში, რომელთა მიზანია მომხმარებლებს დაეხმაროს სიახლეების ნამდვილობის დადგენაში, თუმცა ორგანიზაციები ნაკლებად არიან მოწოდებულნი იგივე საკითხის მოსაგვარებლად, მაშინ როდესაც მათი დაარსება გადამწყვეტ როლს თამაშობს ყალბი ინფორმაციის იდენტიფიკაციისა და დემონსტრირების საქმეში.

პროლემატიკის მიმოხილვისას შევეხეთ მედიასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საინფორმაციო პრობლემებს, შესაბამისად, მედიის განვითარება და მისი გამჭვირვალობის, ეთიკისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის გაძლიერების მცდელობები აუცილებელი წინაპირობაა საინფორმაციო გარემოს დასარეგულირებლად, რადგანაც იგი ხელს უწყობს უფრო სანდო და თავისუფალი ინფორმაციული ლანდშაფტის ჩამოყალიბებას.

პროციფრული მედია წიგნიერების პროგრამების შექმნა საჭიროა, როგორც ახალგაზრდა თაობის, ასევე ზრდასრული ადამიანების აუცილებელი უნარებით შესაირაღებლად. ციფრული და მედია წიგნიერების პროგრამების ხელშეწყობა მოქალაქეებს უიოლებს ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების და სანდო წყაროების ამოცნობის შესაძლებლობას.

სამთავრობო ინიციატივებს დიდი როლი აკისრიათ საინფორმაციო გამოწვევებთან ბრძოლის საკითხში. საქართველოს მთავრობამ უკვე წამოიწყო სტრატეგიული საკომუნიკაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები დეზინფორმაციის ეფექტური წინააღმდეგობის მიზნით, რომელიც დროდადრო დახვეწასა და განახლებას საჭიროებს პრომლემატიკის სირთულისა და არსებული სიახლეების შესაბამისად.

საერთაშორისო პარტნიორების დახმარება და მათი გამოცდილების გაზიარება უმნიშვნელოვნესია. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, როგორიცაა ნატო და ევროკავშირი, საქართველოს აძლევს ცოდნასა და რესურსებს დეზინფორმაციასთან ეფექტურად საბრძოლველად. აღსაღნიშნავია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის როლი, რადგან ყველაზე მეტად სწორედ ეს ორი სახელმწიფო უცხადებს მხარდაჭერას საქართველოს დეზინფორმაციის, პროპაგანდისა და საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

პლურალიზმის ხელშეწყობა და მრავალფეროვანი მედიის წახალისება სხვადასხვა თვალსაზრისით ამცირებს საინფორმაციო ომის გავლენას, სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა კი განსაზღვრავს საინფორმაციო სივრცის მარლთზომიერად გამოყენების თავისებურებებს. სამართლებრივი ზომების დაბალანსება გამოხატვის თავისუფლების დასაცავად ეფექტური რეაგირებისთვისაა აუცილებელი. ჟურნალისტებისა და მედია ორგანიზაციების სამართლებრივი დაცვის გაძლიერება,

მათ შორის კანონები შევიწროების, ცილისწამებისა და ცენზურის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად განავითარებს ქართულ მასმედიას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საინფორმაციო გარემო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა მოსაგვარებლადაც უკვე გადადგმულია ნაბიჯები, თუმცა საკითხის სირთულიდან გამომდინარე კვლავ რჩება პრობლემები. ბრძოლის ბერკეტები საკმაოდ მრავალფეროვანია, შესაბამისად, სწორი დამოკიდებულებით შესაძლებელია ეტაპობრივად გადაილახოს ყველა დაბრკოლება, რომელიც საინფორმაციო გარემოს უფრო მეტად გაჯანსაღებას უშლის ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. (2021, აგვისტო 10). Retrieved from www.geostat.ge.
2. Bilal, A. (2021, november 30). Retrieved from www.nato.int.
3. Borders, R. W. (2022, MAY 5). *Georgia Slips in Press Freedom Ranking*. Retrieved from www.civil.ge.
4. *Cambridge Dictionary*. (2023). Retrieved from www.dictionary.cambridge.org.
5. Dolidze, S. (2022). Do Georgians worry about fake news online? *Datablog*.
6. Institute, N. D. (2020). *შემცირდა თუ არა ინფორმაციის პირველწყაროდ ტელევიზიის გამოყენება.* NDI.
7. ISDFI. (2022). *www.isfed.ge.*
8. *National Parliamentary Library Of Georgia*. (2008). Retrieved from http://www.nplg.gov.ge/.
9. *National Parliamentary Library Of Georgia*. (2008). Retrieved from www.nplg.gov.ge.
10. POMPEO, M. R. (2020, FEBRUARY 20). Retrieved from state.gov.
11. Utiashvili, S. (2022, december 27). Retrieved from 4freerussia.
12. ბასიალაია, ე. (2022, January). Retrieved from www.rm.coe.int/-geo.
13. გზირიშვილი, დ. (2020). *ინფოდემია და კომუნიკაცია პანდემიის დროს.* თბილისი: რადიო თავისუფლება.
14. *პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს მდგომარეობა 26 პოზიციით გაუარესდა.* (2024, მაისი 3). Retrieved from www.civil.ge.
15. *საკომინიკაციო სტრატეგია 2017-2020.* (2017). Retrieved from mod.gov.ge.
16. *სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024.* (2020, დეკემბერი). Retrieved from www.gov.ge.
17. სამსახური, ს. ს. (2023, სექტემბერი 9). *შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები.* Retrieved from www.geostat.ge.